

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი #14

2016 წლის 22 ნოემბერი

11.00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები: გიორგი სარდლიშვილი, თამაზ ნათელაშვილი და ნუგზარ ჩანადირი, გიორგი ჭინჭარაული, იოსებ სამხარაძე, გურამ ანსიანი, გიორგი წონდელი, მიხეილ სტეფნიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საკითხი: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 ნოემბრის N10/4794 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტის „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.
მომხს. ა. თოდუა

მოისმინეს:

2. საკითხი 1. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 ნოემბრის N10/4794 წერილით წარმოდგენილია დადგენილების პროექტის „მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და პრიორიტეტების დოკუმენტი.
კომისიის წევრმა გურამ ანსიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი არაა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ორიენტირებული, ვინაიდან არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.
 - წარმოდგენილ პროექტში არაა გათვალისწინებული შემოსავალი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან, რომელიც მოსაკრებლის სახით უნდა იქნეს გადახდილი მოსახლეობის მიერ და შეადგენს დაახლოებით 200,000 ლარს.
 - მიზნობრივ ტრანსფერთან დაკავშირებით განმარტებით ბარათში მითითებულია სულ 280,0 ათ ლარი., მათ შორის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის 123, 7 ათ. ლარი, ხოლო ჯანდაცვის მომსახურებისათვის 154, 35 ათ. ლარი. ბიუჯეტის პროექტში კი

- თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის მითითებული თანხა შეადგენს 148, 6 ათ. ლარს და შეუსაბამოა განმარტებით ბარათთან.

- ასევე 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი არ ასახავს მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს სრულყოფილად ვინაიდან ადგილი აქვს 2016 წელთან შედარებით დაფინანსების კლებას (2016წ - 1.009, 6 ათ ლარი, 2017 წ - 736, 7 ათ ლარი.

- ბიუჯეტის პროექტის ტექსტში მოცემულია ცენტრალური ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების კონკრეტული სამუშაოების ჩამონათვალი, ხოლო ცხრილებში აღნიშნული სამუშაოების შესაბამისი თანხები არაა ასახული.

კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე თოდუამ აღნიშნა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სკვერების, სტადიონების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია, რომლებიც გათვალისწინებულია რეგიონალური განვითარების ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ამ ეტაპზე იქნას ბიუჯეტის პროექტ ამოღებული და მთავრობის მიერ თანხის დამტკიცების შემდეგ შევიდეს ბიუჯეტში ცვლილებები.

. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯები მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემცირდეს:

- წარმომადგენლობითი ხარჯები 20,0 ათ.


- ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შეშენახვის ხარჯები

20.0 ათ ლარით.

- სარეზერვო ფონდი 20.0 ათ. ლარით.

- გადაიხედოს შპს საფეხბურთო კლუბი „მცხეთა“ -ზე გამოყოფილი დაფინანსება (100.0 ათ. ლარი)

გადაიხედოს სკოლამდელი უნარშეზღუდული ბავშვების ტრანსპორტირების ხარჯები, რომელიც წარმოდგენილია 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში 6 თვის მაჩვენებლით და მოხდეს მისი დაფინანსება მთელ წელზე.



შვებულება: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტი შესაბამისი შენიშვნებით
 შემდეგი კანონმდებლობის თანახმად დაუბრუნდეს გამგეობას მასში ცვლილებების შეტანის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე

ალექსანდრე თოდუა

კომისიის წევრები

ოსებ სამხარაძე

გიორგი სარდლიაშვილი

გურამ ანსიანი

თამაზ ნათელაშვილი

ნუგზარ ჩანადირი

გიორგი ჭიჭარაული

გიორგი წონდელი

მიხეილ სტეფანიაშვილი